ბრძანება:**ბ47. 4723012001**

თარიღი:**12/01/2023**

ბრძანება N 9

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობისა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 18/01/2022 წლის N ბ47.47220182 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობისა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 18/01/2022 წლის N ბ47.47220182 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით .

2.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი